

-phob სუფიქსოიდის სემანტიკა და პროდუქტიულობა თანამედროვე გერმანულში (ქართულ ენასთან მიმართებით)

თეონა ნიჟარაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

e-mail: teona.nizharadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.30>

ენა, როგორც ცნობილია, მუდმივ ცვალებადობაშია. ენები დამოუკიდებლად არ არსებობენ: ისინი მეტ-ნაკლები ინტენსივობით მუდმივ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ენების კონტაქტის შედეგი ამა თუ იმ ენის ლექსიკურ მარაგზე ძირითადად ნასესხობით აისახება. [შდრ. ქეცბა, 2012: 91] სესხება ხდება არა მხოლოდ ლექსიკის, არამედ სიტყვათა მაწარმოებელი ელემენტებისაც. გლობალიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების პირობებში, გერმანული და ქართული ენები, სხვა ენების მსგავსად, აქტიურად იყენებს კლასიკური (ბერძნულ-ლათინური) წარმოშობის ელემენტებს ახალი ცნებების სახელდებისთვის. წინამდებარე სტატიაში განხილულია ერთ-ერთი ასეთი მაღალპროდუქტიული ერთეული *-phob* ელემენტი და მისი ფუნქციონირების თავისებურებები თანამედროვე გერმანულ ენაში. კვლევის მიზანია, არა მხოლოდ *-phob* ელემენტის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, არამედ მისი ქართული ეკვივალენტების მოძიება და სისტემატიზაცია. საკითხი პრობლემურია იმ მხრივ, რომ ქართულ ენაში ამ ელემენტის შემცველი სიტყვების გადმოტანა ხშირად ორგვაროვანია: ერთ შემთხვევაში ხდება ტერმინის პირდაპირი ტრანსლიტერაცია, ხოლო მეორე შემთხვევაში — აღწერილობითი თარგმანი.

თავდაპირველად უპირიანია, განვიხილოთ სუფიქსოიდის *-phob* ეტიმოლოგია. ეტიმოლოგიური ლექსიკონის თანახმად, ფობია (*φόβος*) მომდინარეობს ბერძნული ენიდან და ნიშნავს შიშს. ის ძველად ბერძნულ მითოლოგიაში გამოიყენებოდა ერთ-ერთი ღმერთის აღნიშნავად. ფობია გამოხატავს სიტუაციის, საქმიანობის, ობიექტის, ადამიანის ან ცხოველის მიმართ პანიკურ შიშს. ბერძნულში სიტყვების *hydro* და *φοβία*-ს შეერთებით შეიქმნა კომპოზიტი *ὑδροφοβία* ლათინურად *hydrophobia* (*ჰიდროფობია*), რაც ნიშნავს წყლის შიშს. XVIII საუკუნეში ეს უკანასკნელი გერმანულში სამედიცინო ენიდან შევიდა და მიეცა *-ie* დაბოლოება. XIX ს-ში კომპოზიტი *ჰიდროფობის* მიხედვით ენაში შეიქმნა კიდევ მრავალი კომპოზიტი, რომელიც გამოხატავდა შიშს ადამიანებისა და მოვლენების მიმართ. ფრანგულში გავრცელდა სიტყვა *anglophobie*, რაც აღნიშნავდა სიძულვილს ყველაფერი ინგლისურის მიმართ. XIX საუკუნის I ნახევარში გერმანულში გავრცელდა სიტყვები *anglophobisch*, *Anglophobie*, ხოლო XIX საუკუნის ბოლოს მრავალი კომპოზიტი წარმოიშვა სამედიცინო სფეროში, რაც აღნიშნავდა ავადმყოფურ შიშს.

Agoraphobie — 'საზოგადოებრივი სივრცის შიში', ძველბერძნული *agorá* (*ἀγορά*), 'ბაზარი';

Klaustrophobie — 'დახურულ სივრცეებში ყოფნის შიში', ლათინური *claustrum* 'დახურული სივრცე';

Pyrophobie — 'ცეცხლის შიში', ძველბერძნული *πῦρ* (*πῆρ*) 'ცეცხლი'.

არსებითი სახელების მაწარმოებელი ელემენტი *-phobie* და ზედსართავის სახელების შემადგენელი ნაწილი *-phob* დარჩა შემდგომ ყველაზე პროდუქტიულ მაწარმოებელ ელემენტად. აღნიშნული კომპოზიტებიდან ელემენტი *phobie* მოგვიანებით გამოცალკევდა და დამოუკიდებელ სიტყვად იქცა. <https://www.dwds.de/wb/etymwb/phobie>

ქართულში ელემენტი -ფობიას შემოსვლის ზუსტი დრო არ მოიპოვება სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ სავარაუდებელია, რომ ის შემოვიდა XIX საუკუნის ბოლოს – XX საუკუნის დასაწყისში თანამედროვე ფსიქიატრიისა და ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების პროცესთან ერთად დასავლეთევროპული სამეცნიერო ენების გავლით და დამკვიდრდა, როგორც საერთაშორისო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ტერმინი.

ისტორიული განვითარების მიმოხილვის შემდეგ, საინტერესოა, განვიხილოთ, თუ როგორ ინტეგრირდა *-phob* სუფიქსოიდი ფონეტიკურად და მორფოლოგიურად თანამედროვე გერმანულსა და ქართულ ენებში.

-phob ელემენტის ინტეგრაცია ბერძნულიდან გერმანულში მოხდა შემდეგნაირად. თავდაპირველად ბერძნული გრაფემები ლათინურ დამწერლობით სისტემაში გადაიტანეს. ფონემის [f] აღსანიშნავად გერმანულში გამოიყენება გრაფემათა კომბინაცია, რომელიც თითქმის მხოლოდ ბერძნული წარმოშობის უცხო სიტყვებში გვხვდება. ლათინური სუფიქსი *-ia* გერმანულში *ie* სუფიქსით ადაპტირდა. ამგვარად მივიღეთ ბერძნული სიტყვისგან *hydrophobia* → გერმანული *Hydrophobie*. რაც შეეხება წარმოთქმას გერმანულში ეს უკანასკნელი ნაწილობრივ დაექვემდებარა გერმანულ ფონეტიკურ წესებს. ბერძნული ღია [a] ნაცვლად გერმანულში წარმოითქმის დახურული [o:], ხოლო მახვილი არ შეესაბამა გერმანული ენის სისტემას და დარჩა ბოლო მარცვალზე, რაც არ არის წარმოშობით გერმანული სიტყვებისთვის დამახასიათებელი [fo'bi:]. [შდრ.Trunkwalter, 2009: 264]

ქართულში ბერძნული სიტყვა ფობია ფონეტიკურად ინტეგრირდა მცირედი ცვლილებით, თუმცა მკაფიო წესების მიხედვით: [ph] გადავიდა ბგერით ფ, რადგან ქართულში არ არსებობს [f] და არც გრაფემა *ph*. ბერძნული ხმოვანთა სტრუქტურა ქართულში უცვლელად შენარჩუნდა, რადგან ისინი სრულად შეესაბამება ქართული ფონოლოგიური სისტემის ხმოვანებს.

სიტყვის მარცვლოვანი სტრუქტურაც არ დარღვეულა: *pho-bi-a* → *ფო-ბი-ა*. სწორედ ამიტომ ფობია ქართულში ბუნებრივად ინტეგრირებული საერთაშორისო ტერმინია. რაც შეეხება მორფოლოგიურ ადაპტაციას გერმანულისაგან განსხვავებით ქართული ენისთვის უცხო სუფიქსი *-ia* შენარჩუნდა ფორმით *-ია*, რომელიც ქართულში დამკვიდრებულია როგორც საერთაშორისო ტერმინების მაწარმოებელი სუფიქსი (მაგ. *ბიოლოგია*, *ინტერპრეტაცია*, *დემოკრატია*).

ამგვარად, -ფობია ქართულში ბუნებრივად ინტეგრირებული საერთაშორისო სიტყვების მაწარმოებელი სუფიქსოიდია. თუმცა, აქვე საჭიროა, განისაზღვროს თავად ტერმინ „სუფიქსოიდი“ ადგილი და მნიშვნელობა ქართულ ენათმეცნიერებაში.

ქართულ კლასიკურ ენათმეცნიერებაში სიტყვათწარმოებითი სისტემის აღწერისას გამოიყენება ტრადიციული მორფოლოგიური ტერმინები, როგორცაა სუფიქსი, პრეფიქსი და ძირი, ხოლო ტერმინი „სუფიქსოიდი“ ამ ნაშრომებში არ ფიქსირდება როგორც დამოუკიდებელი კატეგორია. [შდრ. ჩიქობავა, 2008: 160]

თანამედროვე ენათმეცნიერულ და განსაკუთრებით ტერმინოლოგიურ კვლევებში კი შეინიშნება საერთაშორისო ლინგვისტიკაში დამკვიდრებული ტერმინის *affixoid* (ქართ. *ავიქსოიდი*) ადაპტაცია, რომელიც აღწერს შუალედურ მორფემურ ელემენტებს თავისუფალ ლექსიკურ ერთეულსა და კლასიკურ ავიქსს შორის.

ამ კონტექსტში ტერმინს „სუფიქსოიდი“ იყენებს ნინო დათეშიძე ნაშრომში „ავიქსოიდთა სიტყვათწარმოებითი ფუნქციები ტერმინოლოგიაში“. ავტორის მიხედვით,

აფექსოიდები სიტყვაში ჩართვის პოზიციის მიხედვით იყოფა პრეფიქსოიდებად და სუფიქსოიდებად. სუფიქსოიდად განიხილება ისეთი ელემენტი, რომელიც ტერმინში სიტყვის ბოლოში ერთვის და ფუნქციურად სუფიქსს უახლოვდება, თუმცა წარმოშობით და სტრუქტურულად ინარჩუნებს ლექსიკური ერთეულის თვისებებს. [შდრ. დათეშიძე, 2019: 1]

ამდენად, ტერმინი „სუფიქსოიდი“ ქართულ ენათმეცნიერებაში არ წარმოადგენს ტრადიციულ, კლასიკურ გრამატიკულ კატეგორიას, არამედ ის არის საერთაშორისო ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული ტერმინი.

-*phob* სუფიქსოიდის, როგორც ლინგვისტური კატეგორიის არსის განსაზღვრის შემდეგ, უნდა გადავიდეთ აღნიშნული ელემენტის სემანტიკურ-ფუნქციონალურ ანალიზზე და მოვიძიოთ მისი ეკვივალენტები ქართულ ენაში.

ძველი ბერძნული სუფიქსოიდი -*phob* თავდაპირველად ნიშნავდა 'გაქცევას', ხოლო მოგვიანებით — ასევე 'შიშს', 'შფოთვას'. ეს სემანტიკური ცვლილება გადამწყვეტია, რადგან თანამედროვე სუფიქსოიდისთვის -*phob* საწყისი მნიშვნელობა 'გაქცევა' უკვე აღარ არის რელევანტური. მნიშვნელობა 'შიში' გამოიხატა პირველ ცნობილ კომპოზიტიში *ὑδροφῶβος* (*hydrophóbos*). მნიშვნელობებს 'შიში' და 'გაქცევა' შორის მჭიდრო კავშირი არსებობს: შიში არის გაქცევის მოტივაცია. შესაბამისად, 'გაქცევა' უკვე მოიცავს 'შიშს'. ამგვარად, მოხდა მნიშვნელობის შევიწროება — 'გაქცევიდან' 'შიშისაკენ'. [შდრ. Trunkwalter, 2009: 291] ვინაიდან სუფიქსოიდის -*phob* სათავეს იღებს სამედიცინო ენიდან, მიზანშეწონილია, მისი მნიშვნელობის დადგენა სწორედ სამედიცინო-ტერმინოლოგიური ლექსიკონიდან. DUDEN-ის სამედიცინო ტერმინების ლექსიკონის თანახმად : *ფობია* არის პათოლოგიური შიში (მაგ., გარკვეული საგნების, სიტუაციების ან დაავადებების მიმართ), როგორც ფსიქოზის ერთ-ერთი ფორმა. [შდრ. DUDEN, 1998:558]

სტატიაში -*phob* ელემენტით შედგენილი სიტყვების სემანტიკური ჯგუფების კლასიფიკაცია დაფუძნებულია ტრუნკვალტერის მოდელზე. სიტყვების -*phob* სუფიქსოიდით ფუნქციონირების გასაგებად ტრუნკვალტერი იყენებს პარაფრაზირების მეთოდს. ამის საფუძველზე იგი გამოყოფს ორ ძირითად ჯგუფს: ერთი მხრივ, სიტყვებს, რომლებიც პროცესს ან ქმედებას აღნიშნავენ, ხოლო მეორე მხრივ — სიტყვებს, რომლებიც ობიექტს მიემართებიან. [შდრ. Trunkwalter, 2009: 292]

პირველ ჯგუფში ერთიანდება სიტყვები, რომლებშიც შიში ან ზიზღი მიმართულია გარკვეული პროცესის ან საქმიანობის წინააღმდეგ. აღნიშნული სიტყვები მომდინარეობს ზმნის ფუძისგან.

Abwerbphobie — 'ვინმეს აქვს ზიზღი/შიში პერსონალის გადაბირების (სხვა კომპანიიდან გადმოყვანის) მიმართ'

Fahrphobie — 'შიში მანქანის მართვის მიმართ'

fernsehphob — 'ზიზღი ტელევიზორის ყურების მიმართ'

Klebspheobie — 'ზიზღი/შიში რაღაცის წებოთი დამაგრების მიმართ'

klonophobisch — 'ზიზღი/შიში ცოცხალი არსებების კლონირების მიმართ'

Kontrollphobie — 'ზიზღი/შიში ადამიანების ან საგნების კონტროლის მიმართ'

Meldepheobie — 'ზიზღი/შიში რაიმეს ოფიციალურად შეტყობინების/განცხადების მიმართ'

Wartepheobie — 'ზიზღი/შიში ლოდინის მიმართ'

ზემოთაღნიშნული სიტყვების გადატანა ქართულში ტრანსლიტერაციის გზით არ ხდება და შესაძლებელია მათი მხოლოდ აღწერილობითი თარგმანი.

ამავე ჯგუფში ერთიანდება სიტყვები, რომლებიც პროცესის მიმართ შიშს ან ზიზღს გამოხატავს, მაგრამ არსებითი სახელისაგანაა ნაწარმოები.

Veränderungsphobie — 'ცვლილების შიში'

Ansteckungsphobie — 'გადადების / ინფიცირების შიში'

Einkreisungsphobie — 'ალყაში მოქცევის შიში'

მეორე ჯგუფში ერთიანდება სიტყვები, რომლებსაც აქვს შიში/ზიზღი ობიექტის მიმართ. ვინაიდან საგანთა რაოდენობა უსასრულოა, ეს ჯგუფი ძალიან მრავალფეროვანია და გამოიყოფა ქვეჯგუფები.

ა. შიში/ზიზღი უსულო საგნების მიმართ

Uhrenphobie — 'საათების შიში/ზიზღი'
Bierphobie — 'ლუდის შიში/ზიზღი'
Chemophobia — 'ქიმიური ნივთიერებების შიში'
Hydrophob — 'ჰიდროფობული /წყალგაუმტარი'
oleophob — 'ოლეოფობური /ზეთის უარყოფი'
technophob — 'ტექნოფობი-ტექნიკის შიში'

- დროის ან გარკვეული პერიოდის მიმართ შიში ან ზიზღი.

Chronophobia — 'ქრონოფობია/ დროის მიმართ შიში'
Feiertagsphobie — 'დღესასწაულების შიში/ზიზღი'
Weihnachtsphobie — 'შობის შიში/ზიზღი'
Silvesterphobie — 'ახალი წლის შიში/ზიზღი'
Urlaubsphobie — 'შვებულების შიში/ზიზღი'
ბ. ზიზღი/შიში ცოცხალი არსებების მიმართ (ცხოველები და ადამიანები)
Entomophobia — 'ენტომოფობია/ მწერების შიში'
Akarophobia — 'აკაროფობია/ შიში მცირე ზომის პარაზიტების მიმართ'
Wespenphobie — 'ბზიკების შიში'

Moskitophobia — 'კოლოების შიში'
Bakterienphobie — 'ბაქტერიოფობია/ ბაქტერიების შიში'

- ადამიანების მიმართ შიში/ზიზღი:

Frauenphobie / Gynophobia — 'გინოფობია/ქალების შიში'
Androphobie — 'ანდროფობია/მამაკაცების მიმართ შიში/ მამაკაცთმომუღე'
Menschenphobie — 'ადამიანების შიში'
Kommunistenphobie — 'კომუნისტების შიში'

გ. ადგილზე ფოკუსირებული ტიპი. აქ სიტყვები მიუთითებენ შიშს ან უარყოფით დამოკიდებულებაზე კონკრეტული გეოგრაფიული ადგილის მიმართ. ამ ჯგუფში შემავალი ფობიები გერმანულში შედარებით მცირეა.

Kaukasusphobie — 'შიში/ზიზღი კავკასიის მიმართ'

Iran-Phobie — 'შიში/ზიზღი ირანის მიმართ'

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სიტყვა შეიძლება მხოლოდ ერთ კატეგორიას ვერ მივაკუთვნოთ. ხშირად ერთმანეთს ემთხვევა შიში/ზიზღი ადგილის, ადამიანის და კულტურის მიმართ. [შდრ. Trunkwalter, 2009: 296]

ადგილს, ხალხსა და ენას მოიცავს სიტყვები, როგორცაა russophob 'რუსოფობი' ერთდროულად შეიძლება გულისხმობდეს ზიზღს ენის, ადამიანების ან ქვეყნის მიმართ.

Europophobia ევროფობია შეიძლება გამოხატავდეს 'ზიზღს ვალუტის, ევროკავშირის, ევროპელების ან კონტინენტის მიმართ'.

ისეთ აბსტრაქტულ ტერმინებში, როგორცაა Judéophobia 'იუდოფობია', Homophobia 'ჰომოფობია', Islamophobia 'ისლამოფობია' ან Xenophobia 'ქსენოფობია' (სხვა ეროვნების/გარე ადამიანების მიმართ შიში), ხშირად გაურკვეველია, ეხება თუ არა ზიზღი ადამიანებს თავად, თუ მათ რელიგიას/იდეოლოგიას. ამ შემთხვევაში საჭიროა კონტექსტით დაზუსტდეს მნიშვნელობა. [შდრ. Trunkwalter, 2009: 297]

გერმანულში *-phob* სუფიქსიოდის პროდუქტიულობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ის ხშირად გამოიყენება ისეთი სიტყვებისთვის, რომლებიც კონკრეტულ კონტექსტში შეიქმნა და შესაძლებელია არ გამოიყენებოდეს სტანდარტულ ლექსიკაში, მაგალითად:

<i>Blasmusikphobie</i>	'სასულე მუსიკის შიში / ზიზღი'
<i>Küchenphobie</i>	'სამზარეულოს (ან საჭმლის მომზადების) შიში'
<i>Dönerphobie</i>	'შაურმის მიმართ შიში / ზიზღი'
<i>Showphobie</i>	'შოუების / სანახაობების მიმართ შიში'
<i>italophob</i>	ყველაფერი იტალიურის მიმართ შიში / ზიზღი
<i>Chaosphobist</i>	ქაოსის მოძულე / ქაოსის მიმართ შიშის მქონე ადამიანი

იმ სიტყვების შემთხვევაში, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებას ან კონკრეტულ ობიექტებს უკავშირდება, ქართული ენა უპირატესობას ანიჭებს არა ტრანსლიტერაციას, არამედ აღწერილობით თარგმანს. ამ დროს *-phob* ელემენტის მნიშვნელობა გადმოიცემა როგორც 'შიში' ან 'ზიზღი'. ასეთი ოკაზიონალიზმები ქართულში მხოლოდ აღწერილობითი გზით გადმოდის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულში *-phob* ელემენტით შედგენილი სიტყვების გადმოტანა ხდება ორი გზით: ტრანსლიტერაციითა და აღწერილობითი თარგმანის მეშვეობით. ზოგ შემთხვევაში ერთმანეთის პარალელურად არსებობს საერთაშორისო ტერმინი (მაგ. *ჰიდროფობული*) და მისი ქართული სემანტიკური ეკვივალენტიც (მაგ. *წყალგაუმტარი*). თუ ქართულ ენაში ტერმინი გამოიყენება ვიწრო სამეცნიერო კონტექსტში, უპირატესობა ენიჭება ტრანსლიტერაციას. თუ ტერმინი ყოველდღიურ ცხოვრებაში გადადის (მაგ. მასალების აღწერისას), გამოიყენება აღწერილობითი თარგმანი.

ლიტერატურა:

1. დათეშიძე ნ. (2019): აფიქსიოდთა სიტყვათწარმოებითი ფუნქციები ტერმინოლოგიაში. ელექტრონული რესურსი: <https://ice.tsu.ge>
2. ქეცბა-ხუნდაძე ლ., გიორგობიანი დ. (2012): გერმანული ენის ლექსიკოლოგია. თსუ გამომცემლობა. თბილისი.
3. ჩიქობავა არნ. (2008): ენათმეცნიერების შესავალი. თსუ გამომცემლობა. თბილისი.
4. Trunkwaller J. (2009): Das Konfix -phob-. Ein Überblick über Etymologie, Morphologie, Semantik und Pragmatik der Wortbildungseinheit -phob- // Fremdwortbildung am Beispiel von Konfixen (Hrsg. P. O. Müller). Georg Olms Verlag. Hildesheim/Zürich/New York.
5. Duden (2024): Wörterbuch. Rechtschreibung: Public Viewing. ელექტრონული რესურსი: <https://www.duden.de>.
6. Duden (1998): Wörterbuch medizinischer Fachbegriffe. 6. Auf. Dudenverlag. Mannheim.
7. DWDS (2024): Digitales Wörterbuch der deutschen Sprache. ელექტრონული რესურსი: <https://www.dwds.de>.
8. აბრამიშვილი ი. (2006): უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ელექტრონული რესურსი: <http://www.nplg.gov.ge>.
9. ქართული ენის ციფრული ლაბორატორია (2024): ელექტრონული რესურსი: <https://dlab.ug.edu.ge>.

Teona Nizharadze

Akaki Tsereteli state University

Kutaisi, Georgia

e-mail: teona.nizharadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.30>

**Semantics and productivity of the -phob suffixoid in modern German
(in relation to the Georgian language)**

Abstract

This study examines the semantics and productivity of the *-phob* suffixoid in modern German and its equivalents in the Georgian language. The research traces the etymological evolution of the element from its Greek origins, where it shifted in meaning from "flight" to "fear". In the German context, the element became highly productive within medical and psychological fields during the 19th century before expanding into everyday language. The author analyzes how these terms are integrated into Georgian, noting that they entered the language primarily through Western European scientific channels at the turn of the 20th century. A significant focus is placed on the "terminological dualism" in Georgian, where international loanwords through transliteration coexist with descriptive native translations. Finally, the paper classifies various semantic groups—such as fears related to processes, objects, or geographical locations—to demonstrate how context determines the translation method used in Georgian.

Keywords: *-phob* suffixoid, etymological analysis, terminological dualism, German-Georgian equivalence Semantic transformation